№ 18
ჯარასკევი,
18 სექტემბერი
1909 წ.

# მომავალი

№ 18
ჯარასკევი,
18 სექტემბერი
1909 წ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „მომავალი“

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა.

გაზეთის ფასი: როგორც ტფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მანეთი. 1 სექტემბრიდან წლის ბოლომდე თფილისში 3 მან. თფილისს გარეთ 3 მან. 20 კ. თვიურათ: თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კაპ. ცალკე ნომერი—5 კაპ. ძველის გამოცვლა ღირს 40 კაპ. (შემდგომ და მარკებით).

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადებაზე თითოეულ სადამის 5 სტრ. 3 მან., ხელით დაბეჭდილი 5 შანეთი. ... ხელის ... 11—12 საათამდე.

რედაქციის ადრესი:
რუსის ქუჩა, სახლი № 3, ზემო სართულში.
ფულის გამოსაგზავნი ადრესი:
Тифлисъ, тип. „Сорапань“, Калистрату Конст. Цулзе.

19 სექტემბერს, დილით შაბათს, ხონის სობოროში გადახდიანქ. ... ყენევაში
გარდაცვალებულ
იასონ დავითის ძე ბახტაძის
ექვსი თვის პანაშვიდს მისი ძმა და ამხანაგები. ვთხოვთ მის ჭკვის მცემ-
ლებს დაესწროთ მის პანაშვიდს.

ნაფიცი ვექილი
**სერგეი დ. ჯაფარიძე**
ქუთაისიდან გადავიდა თფილისში
ბროსეს ქუჩა, ახვერდოვის სახლი № 11.
(სასტუმრო „ლონდონის“ ახლოს)

კბილის ექიმი
**ი. შ. ჭანტურია**
იღებს ავათ-მყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 4—8 ს.,
კვირა-უქმე დღეს 9—1 საათამდე. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს)

**ივ. კარუხოვი**
გადავიდა ბელინსკის ქუჩ. № 18.

კბილის ექიმი
**ს. ვაშაყმაძე**
აბასთუმანიდან დაბრუნდა. ავათმყოფებს ღებულობს ახალ ბინაზე დილით: 9—2 საათ. საღამოს: 5—7 საათ. ვერის დაღმართი, სახლი № 15.

გაიხსნა ახალი
თფილისის
**კერძო სამკურნალო**

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვაგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695).

ექ. ე. ზ. ფედოროვი: ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 11—12 საათამდე შინაგანი და ბავშვებისა.

ექ. ვ. ღამბაშიძე: ყოველ დღე, კვირა დღის გარდა 12—1 ს. შინაგ. და ბავშვ. ავათმყ. შეაჩერა მიღება 1-ლ სექტემბრამდე.

ექ. ზ. ა. პოპოვი: ყოველ დღე ხუთშაბათს გარდა კვირსა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

ექ. ზ. გ. მაკაროვი: შეაჩერა მიღება 1 სექტემბრამდე.

ექ. ა. ნ. დიახამიძე: ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

ექ. ნ. გ. მელიქიშვილი: ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

ექ. ი. გომართელი: ყოველ დღე, 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

ექ. ვ. ხ. მუსხელიშვილი: ყოველ დღე, კვირა დღ. გარდა 2—$2^1/_2$ ს.; თვალის ავათმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგეობით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური აგნყოფილება 30 საწოლით.
100—61

**ოზურგეთში**
გადავიდა
**თ. კიკვაძე**

ამზადებს ქალ-ვაჟთ გიმნაზიებისა, რეალური, საკომერციო და მიწის მზომელთა სასწავლებლებისათვის, კადეტთა კორპუსისა, სახალხო საბუხგალტერო კურსებისათვის, სახალხო სკოლის მასწავლებლათ და აფთიაქის ხაზის მასწავლებლათ და სახალხო სკოლის მასწავლებლად.

ქირა თითო თვის წინდაწინ.

ადრესი: მღვდ. მელიტონ ქავჯარაძესთან.
(18—14)

### თფილისი, 18 სექტემბერი.

რუსეთის განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ათიბით გამოიყვანა ხალხი დაძინებულ-ჩავებული მდგომარეობიდან და ერთხელ სამუდამოთ თვალი გაუხილა სინათლის დასანახათ. ხალხის შეუძლებელი ნაწილი უკვე დარწმუნდა, რომ თანდროვე ეკონომიურ-სოციალურ ცხოვრებაში მუშათა კლასს დიდმნიშვნელოვანი ალაგი უჭირავს, იგი დარწმუნდა, რომ სოციალიზმმა დიადი ისტორია მისია, დიადი ისტორიული დანიშნულება უნდა შეასრულოს. ამისათვის, იდეალიზმით დაინტერესებული კლასის ჯგუფები გულწრფელათ შევიდნენ პროლეტარიატის ორგანიზაციაში და გაერთიანდნენ მის კლასთა ბრძოლის ველში, მაგრამ ამათში მცირე ნაწილია ისეთები, რომლებსაც სისწორულით აქვთ შეთვისებული პროლეტარიატის მსოფლ-მხედველობა, სოციალიზმის იდეალი. მართალია, საქართველოს და, კერძოთ კავკასიის პროლეტარულმა კლასებმა თვით-განვითარების განათლების გზაზე დიდი ნაბიჯი წადგეს წინ, საგრძნობელათ წაიწიეს მათთა განათლებამ ერთგვარი თვალსაჩინო ნაყოფი გამოიღო: სახალხო უნივერსიტეტებმა თავისი კულტურული ლექციებით ხელი შეუწყო და ასე თუ ისე გაფართოვა-გაარმავა ქალაქის დაბალ ფენების სოციალური შემეცნება, შეაგნებინა მათ თავიანთი სოციალური მდგომარეობა. თვით ბურჟუაზიულმა ინსტიტუტმა (დაწესებულებებმა) თავიანთ სახალხო ლექციებით, სხვადასხვა უმაღლ კურსებით, სახალხო წარმოდგენებით ერთნაირათ ხელი შეუწყეს ხალხის თვითცნობიერებას და მით მუშათა განიზაციებს ოდნავათ მაინც შეუმსუბუქეს სამუშაო.

მაგრამ, ბურჟუაზიის, თუ სახელმწიფოს კულტურული, თუ სოციალური დაწესებანი, თავიანთი დანიშნულება-მიზნით წინ ელობებიან ხალხის, კლასის ნამდვილ განათლებას, კლასობრივ გათვით-ცნობიერებას, უშლის პროლეტარიატის ყოველ განვითარებას, მარა პროლეტარიატი ასეთ უკუღმართ პირობებშიაც მეცადინეობა მოქმედებით, დაუღალავი მუშაობით მდიდარდება იმკის. ტყუილით კი არა სთქვა მარქსმა, რომ მუშათა კლასის განთავისუფლება მხოლოდ მუშათა საქმეაო, მაგრამ ეს შეუძლია მხოლოდ ისეთ მუშათა კლასს, რომელსაც საკუთარი კლასობრივი მოთხოვნები და შეგნებული აქვს კლასობრივი ბრძოლის იდეალები, აქვს კლასობრივი ინსტიქტი, ნაცვლათ შეგნებულისა კლასობრივი მიზანი, მისი მისაღწევი გზა და იბრძვის კიდეც მის განსახორციელებლათ.

რასაკვირველია, ჩვენ არ უარვყოფთ ამ ჯგუფიდან მოვლენას, რომ ამ უკანასკნელ წლებში კავკასიის, განსაკუთრებით კი, ქართველი მუშათა კლასი ერთობ მისწრაფის განათლებისაკენ და გავრცობთათვის ეწევიან მას, მაგრამ, ჩვენის აზრით, იგი საკმაოთ მაინც ვერ სარგებლობს განათლების უმთავრეს და უკეთეს საშუალებით. სოციალისტური ლიტერატურა მუშათა კლასში ამ უკანასკნელ ხანებში ძალიან ნაკლებათ ვრცელდება. წიგნებს, რომლებიც ავრცელებს ხალხში სოციალისტურ იდეებს, სოციალისტურ აზროვნებას, რეალური გამგეობა ერთით მოაკლდა. ქართველი მუშები ისე ცოტას კითხულობენ ჩვენ მიერ დასახელებულ ლიტერატურას, რომ იმ მცირე სოციალისტური წიგნებ-წიგნაკებიც, რომელიც ჩვენს ენაზეა დაბეჭდილი, სანახევროთ არ წაუკითხავთ, ცოტათაც არ გაუცნობიან მას. რასაკვირველია, ამ მოვლენას თავისი ობიექტიური მიზეზი აქვს და მისი თავიდან აცდენა არც ერთის ხელის მოქნევით შეიძლება.

ამასთან, დიდი უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარია, ვისაც კიდევ საშუალება ქონია წერა-კითხვა სახალხო შკოლებში მიეღო, მათაც, ყოვლად უვარგისი სკოლების საშუალებით ისე ცოტა შეუძენიათ, რომ მათ მხოლოდ ზღაპრული მოთხრობების კითხვა შეუძლიათ და სხვა არაფერი; მართალია, სურვილი სერიოზული წიგნების კითხვისადმი არის მუშების ნაწილში, მარა სულ მცირე პროცენტში. ამ უკუღმართ გარემოებას ზედ დაუმატოთ შრომის უხეირო პირობები, ვიწრო და მოუწყობელი საცხოვრებელი ბინები, რომელიც არ იზიდავს მათ გონებრივათ მეცადინეობისადმი და თუ რომელიმე სძლევს ასეთ დაბრკოლებებს და შეუდგება თვითგანვითარებას, მას უპირველესათ ხელთ ჩაუვარდება ყოვლად უვარგისი და უშინაარსო წიგნები, რომლებიც თავიანთი შინაარსით მას კლასობრივათ კი არ ათვითცნობიერებს, არამედ აბრუებს და აჩლუნგებს, ბურუსში და გაუგებრობაში ახვევს მის კლასობრივ შემეცნებას. ეჭვი არ არის, რომ თუ ჩვენი პროლეტარული კლასები, რომლებშიაც გაღვიძებულია სურვილი კითხვისადმი და უთავბოლოთ, უსისტემოთ კითხულობს, რაც კი მას ხელში ჩარვარდება, აქ დამნაშავე იმდენათ თვით მუშები როდია. დღევანდლამდე ჩვენ ენაზე არ მოიპოვება ისეთი წიგნაკი, რომელიც წესიერ ხელმძღვანელობას გაუწევდა მათ კლასობრივ გათვითცნობიერებაში, გაუადვილებდა სოციალისტურ ლიტერატურის წესრიგზე შესწავლას. ასეთი სახელმძღვანელოს უქონლობით ძვირფას დროს ხშირათ ისეთ წიგნების კითხვაზე კარგავენ, რომელსაც ცოდნისა და ზრების გაღვიძების მაგიერ მათ თავში არევ-დარევა და გაუგებრობა შეაქვს.

ზოგიერთი ახალგაზდა მუშები დღეს ერთ ცოდნის დარგს დეწაფებიან, ხვალ მეორეს, ზეგ მესამეს და ასე ამრიგათ, კითხულობს და იძენს ზნეულ ცოდნას, რომელიც მასში მხოლოდ გაუგებრობას იწვევს და არა გაგებულ-დალაგებულ ცოდნას. ხშირათ ხდება ხოლმე, რომ ცოდნის მოყვარეობით აღჭურვილი მუშა მეტათ კარგსა და გამოსადეგ წიგნს მოკიდებს ხელს, მარა მას ამისათვის არ მოსდევს საკმარისი ცოდნა და წინასწარი მომზადება, რომელიც გაუადვილებდა მას მის გაგებას. იგი ამ შემთხვევაში იბნევა მოუმზადებლობის გამო, ვერ იგებს მის შინაარსს და სასოწარკვეთილი ისვრის კუთხეში წიგნს, რაც უკარგავს მას შემდეგში ყოველგვარ სურვილს წიგნების კითხვისადმი.

ამ ნაკლის თავიდან ასაცილებლათ საჭიროა, რომ მუშათა ხელმძღვანელობამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას, თავის იდეებს და შეადგინოს ისეთი სახელმძღვანელო წიგნები, რომლებიც გაუადვილებენ მუშას პროლეტარული მიმდინარეობის შესწავლა-შეთვისებას. საჭიროა თვით მუშებმა სერიოზული ყურადღება მიაქციონ ამ ნაკლის გასწორებას და ეს საქმე გარდაიქციონ თავიანთ უმეტეს ზრუნვის საგნად, რომ ამ ... გონებრივი „ბადაგით“ რომლითაც დღემდე ასე თუ ისე კიდევ ... ლიტერატურა. „წყეული კითხვანი“ მეტ ცოდნას და მეტ გამოცდილებას მოითხოვს.

### კანონ-პროექტი მუშათა შესახებ.

II

(შემდეგ).

კითხვაზე ახალი პროექტი უკეთეს პასუხს იძლევა, ვინემ არსებული კანონი 2 ივნისის 1903 წლისა. ამ კანონით პენსია არ ერგებოდა, ვინც განზრახ, ან სრული მოურიდებლობის გამო დაშავდებოდა (грубой неосторожности), პროექტის ძალით კი დატოვებულია მხოლოდ პირველი, ეს განზრახ თავის დაშავება, მარა ბიუროკრატია გაუმჯობესებას როგორ შეურიგდებოდა, რომ კვანტი არ გაეკრა. ამიტომ პროექტი უმატებს: პენსია არ ერგება ისეთ პირთ, რომელნიც უფასო საექიმო დახმარებას გაექცევიან და კერძო ექიმებთან იაქიმებენო. უფასო ექიმობა რიგიანათაა დაყენებული, მას, ცხადია, მუშა არ გაექცევა, ზედმეტი ხარჯი მისი ჯიბისათვის ადვილი ასატანი არაა. თუ ის გაურბის ასეთ დახმარებას, ცხადია, ის მეტათ უვარგისი ყოფილა. და განა ამისთვის იგივე მუშა უნდა დაისაჯოს? ხაზეინის ბრალი უნდა მუშამ ზღოს? ასეთია ამ პროექტის სამართალი, პროექტის ავტორებს ეს შეზღუდვა გერმანიიდან გადმოუღიათ, მარა ესაა ნაკლის გადმოღება და ღირსების უარყოფა და ცხადია, ასეთი წაბაძვა დასავლეთ ევროპაზე გასამართლებელ საბუთათ ვერ გამოდგება.

დაზღვევის ნივთიერი მხარე და პენსიის რაოდენობა თითქმის უცვლელათ არის გადმოღებული 1903 წლის დროებით კანონიდან ე. ი. ნივთიერი მხარე მრეწველებს აწევს კისერზე, ხოლო უმაღლესი პენსია ჯამაგირის ორ მესამედს უდრის. აქედან მხოლოდ ერთი გამონაკლია დაშვებული. ისეთ დაშავებულთათვის, რომელნიც გარეშეთა დახმარებას საჭიროებენ, პენსია გადიდებულია სრულ ჯამაგირამდე. სამაგიეროთ, 5 პროცენტით შრომის უნარის დაკარგვა სრულიად აუნაზღაურებელი რჩება. ერთდროული სრული პენსიების ე. ი. 10 წლის პენსიის მიღება დატოვებულია მხოლოდ მცირე დაშავებულთათვის, დანარჩენები კი, თვიური პენსიით უნდა დაკმაყოფილდენ უეჭველათ.

მრავალ წვრილ ნაკლულევანებებ შორის არის ერთი, რომელიც ღირსია აღნიშვნის. ხაზეინები მუდამ ჰოულობენ გამოსაძრომს კანონით დავალებულ ვალდებულებისაგან. დასახიჩრებულ მუშებს აძლევენ სხვა სამუშაოს, იმის იმ პირობით, როცა საჩივრის აღძვრის ვადა გაივლის, მაშინ კი დაუყოვნებლივ ითხოვენ მუშას. 1903 წლის კანონით ასეთი ხრიკების წინააღმდეგ მიმართული იყო 38 მუხლი, რომელიც ამბობს, რომ თუ ხაზეინი მოურიგდა მუშას—არსებობის საშუალებას მოგცემ და არ იჩივლოვო,—ამით განსაჩივრების ვადა გრძელდება, რადგან ეს დრო, როცა ხაზეინი მუშას სამუშაოს აძლევს ამ პირობით ვადის დროში არ ითვლება. განსაჩივრების ვადათ ითვლება 2 წელიწადი ამ დროის გარეშე. ასე რომ, დღეს ხაზეინს არ შეუძლია დაითხოვოს დაშავებული მუშა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის პენსის გადაახდევინებს; ახალი პროექტი კი აჰაც გულმტკივნეულათ მოეკიდა ხაზეინებს და ის ერთი ხვრელი გაუფართოვა. მან 38 მუხლი გააუქმა და ასე, მუშას, იმუშავებს თუ არა, მაინც 2 წლის ვადა აქვს მიცემული საჩივრის დასაწყებათ. საჩივრის დაწყებას კი ადგილიდან დათხოვნა მოყვება. მიზეზი ასეთი გულმტკივნეულობისა დღემდე უცნობია. თვით პროექტის შემდგენელნი ამაზე პირ-მოკუმული სდუმან.

ახლა ვნახოთ, როგორია ორგანიზაცია ამ დაზღვევის. ის ერთიანათ ხაზეინების ხელშია. ეს უკანასკნელები ვალდებული არიან შეადგინონ ტერიტორიალური დამზღვევი საზოგადოებები და თითონვე ირჩევენ გამგეობებს. ეს ასეა გერმანიაშიც, მარა იქ შემდეგ ინსტანციაში მცირე ხმა მაინც აქვთ მუშებსაც. ამას გარდა პენსიის შესახებ გამგეობის დადგენილება შეუძლიათ სამედიატორო სასამართლოში განასაჩივრონ, სადაც ნახევარი წევრები მუშები იქნებიან. რუსეთის მუშები კი ამ მცირე უფლებებსაც მოკლებული არიან. აქ ხაზეინების და ადმინისტრაციის უსაზღვრო ბატონობაა. ფორმალიზმი და ბიუროკრატიზმი ხომ, თქმა არ უნდა, ფრთა გაშლილია. სხვაზე რაღა ითქმის, როცა დამზღვევ საზოგადოებაში ჩაწერა და იქიდან გამოწერა თვითეულ წევრს შეუძლია მხოლოდ საფაბრიკო ინსპექციის განკარგულებით. რა საჭიროა ეს ფორმალიზმი ჩასაწერათ, როცა ჩაწერა კანონით სავალდებულოა! ალბათ, იმისთვის, რომ ასეთ საზოგადოებების შედგენას ერთი ზედმეტი დაბრკოლება ექნეს, ხაზეინები იტყვიან, როგორ შეგვიძლია ჩავეწეროთ, ჯერ განკარგულება არ მიგვიღიაო. მის მისაღებათ კი, თავს აბა, რათ გაიცხელებენ!

ამნაირათ, ბიუროკრატიზმი, ფორმალიზმი, არსებული დროებითი კანონის ბევრათ გაუარესება, მუშების სრული განდევნა მათი საარსებო საქმიდან, დაზღვეულთა რაც შეიძლება შეზღუდვა, მისი ორგანიზაციის გაძნელება, მუშებისთვის ამ სუსტ კანონების დარღვევის დროსაც სამართალის გაძნელება—აი ბიუროკრატიის საჩუქარი რუსეთის მუშებისთვის. და რაც უნდა მნიშვნელოვანი იყოს პრინციპიალურათ მუშათა კანონმდებლობის გზაზე შედგომა, ასეთი ნაბიჯი მოწონებას მაინც ვერ დაიმსახურებს. ეს პირველი ნაბიჯი მუშათა კანონმდებლობის მათ მოსატყუებელ საკენკს უფრო წარმოადგენს, ვინემ კანონმდებლობას.

როგორია მთავრობის მეორე პროექტი?

რ. ა.

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 სექტემბერი.

### სპარსეთი.

**თავრიზი.** ვაგირის გალაშქრება თავისი ფიდაიებით რახიმ-ხანის წინააღმდეგ ყარადაღისკენ დროებით გადასდვეს—ადერბილის ყოფილ გუბერნატორ რაშიდ-ულ-მულკის თავრიზში მოსვლამდე. რაშიდ-ულ-მულკი არდებილის გუბერნატორათ დაინიშნა იჯალ-ულ-მულკის მაგიერ. სათარ-ხანი არდებილში არის, სადაც დაატუხალა სპარსეთის ქვეშევრდომი რამდენიმე კავკასიელი ფიდაი.

### საზღვარ-გარეთ

**მადრიდი.** მელილიიდან ოფიციალურათ იტყობინებიან, რომ 15 სექტემბერს ღამის 3 საათზე სუკელარბას ახლოს 500 მავრი თავს დაესხა ესპანელთა ბანაკს. ესპანელებმა პასუხი გასცეს.

დაზვერვის დროს ესპანელებს მოუკლეს სერჟანტი და სამი სალდათი, დაუჭრეს კაპიტანი, ორი სერჟანტი და 12 სალდათი. მტერი იძულებული შეიქნა უკან დაეხია. შემდეგ მიმართა გენერალ

მარინეს და მიულოცა სოულანთან ბრწყინვალე გამარჯვება.

**სტოკჰოლმი.** მთავრობის კომისარის შუამავლობამ გაფიცვის შეწყვეტის შესახებ ვერ გასჭრა. გაფიცვას ისევ განაგრძობენ.

**ბრიუსელი.** გუშინ გაიხსნა საზღვაო უფლების საერთაშორისო მესამე კონფერენცია. მონაწილეობას იღებს 25 სახელმწიფოდან 60 დელეგატი. თავმჯდომარეთ აირჩიეს ბელგიის მინისტრი ბერნარტი.

**სენჯონსი.** (ნიუფუანდლენდი) აქ მოსულმა ვოტნეიმ დაამოწმა თავისი წინანდელი ნათქვამი. სთქვა, რომ პირის მხლებლები ეკითხებოდენ ესკიმოსებს, მაგრამ არ გაუგონია, რომ ესკიმოსებს ეთქვათ თითქოს ორ დღეში გადასულიყვენ, რაც მიწას მოშორდენ. კუკმა დაუტოვა ვიტნეის თავისი ნივთები. პირიმ უარი სთქვა კუკის ნივთების მიღებაზე.

**ფრანკფურტი-მაინზე.** ვისბადენში აუშვა ჰაეროსტატი „პარსევალი“. გონდოლში ისხდენ პროფესორების და აფიცრებისაგან შემდგარი რუსეთის კომისია.

**პარიზი.** საგარეო საქმეთა მინისტრმა აცნობა, რომ მულაი გაფიდის პროტესტზე რენიოს პასუხი სახელმწიფოებმა მოიწონეს.

### რუსეთი

**კალუგა.** გაიხსნა მიწების მომწესრიგებელი კომისია.

**ტაშკენტი.** პირველ სამ დღეს გამოფენიდან შემოვიდა 3000 მანეთი, გამოფენა საინტერესოა.

**პოლტავა.** საგუბერნიო საერობო კრებამ განიხილა მოუსავლობის დროს მცხოვრებთა დახმარების შესახებ პროექტი და სასურველათ სცნო ზოგიერთი ცვლილებების შეტანა.

**კამენეც-პოდოლსკი.** მემამულეებმა სახელმწიფო საბჭოს წევრათ აირჩიეს ორლოვსკი.

**პეტერბურგი.** პეტერბურგის, დონის და კიევის საპოლიტეხნიკო და სამთო ინსტიტუტებში სტუდენტების მიღება გათავდა. თხოვნები აღარ მიიღებიან.

სამოსამართლო პალატამ ნაფიც მსაჯულთა თანდასწრებით განიხილა „წარსული წლების“ ჟურნალის რედაქტორ სელიუკის საქმე. მას ბრალს სდებდენ 128 და 129 სტ. ძალით. ამ სტატიებში ის გაამართლა, მაგრამ დანაშაულათ სცნო გაუფრთხილებლობაში და მიუსაჯა 200 მანეთი ჯარიმა ან სამი თვის ციხე.

**პოლტავა.** სასწავლებლების კომისიამ დაადგინა გახსნას 11 ორკლასიანი სასწავლებელი 1872 წლის დებულების საქალაქო სასწავლებლის ტიპის; გააფართოვოს საერობო წიგნების საწყობი და იშუამდგომლოს დაარსდეს ერობის ხარჯზე სახალხო სკოლათა ინსპექტორის მეორე თანამდებობა.

**პსკოვი.** ერობამ სახელმწიფო საბჭოს წევრათ აირჩია ისევ ნეკლიუდოვი.

**უფა.** ბელებეის მაზრის სოფელ სლაკბაში დაიწვა 44 სახლი და მრავალი საქონელი. დაიწვა ორი დედაკაცი.

**პავლოგრადი.** ს. ლოზოვოიში საზოგადოების ხარჯით გაიხსნა სავაჟო გიმნაზია.

**არხანგელსკი.** „ახალი მიწიდან“ დაბრუნდა გუბერნატორ სოსნოვსკის მიერ გაგზავნილი ექსპედიცია. დამტკიცდა, რომ ნორვეგიელები მართლა სარგებლობენ რუსის თევზების და ნადირებას წარმოებით. ექსპედიციამ ბევრი ახალი რამ გამოიკვლია.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭომ განიხილა ფინლიანდიის სეიმის უქვეშევრდომილესი ადრესი ფინლიანდიის საქმეთა მსვლელობის შეცვლის შესახებ და უარყო.

**ბაქო.** ბაქოზე გაიარა ზილლი-სულთანმა. მან განაცხადა, რომ გილიანის მცხოვრებს ყოველ წლიურათ სწირავს 12,000 თუმანს.

**კალუგა.** დაიხურა სახალხო სამეურნეო გამოფენა. მიესაჯათ 10 ოქროს, 33 ვერცხლის, 25 ბრონზის მედალი და 31 ქებითი ფურცელი.

### ხ ო ლ ე რ ა.

**პეტერბურგი.** ხოლერით ავათ გახდა 36, მოკვდა 14, ავათ არის 369.

**სიზრანი.** ხოლერით ავათ გახდა 3, მოკვდა 1.

---

# უკანასკნელი ფოსტა

### ოსმალეთი

**ეგვიპტელი აფიცრები.** გაზეთ „მარკელ ფატტში“ გამოქვეყნდა ტელეგრამა, რომელიც ეგვიპტის აფიცრებმა ახალგაზრდა ოსმალთა სიეზდს გაუგზავნა. ამ ტელეგრამაში ეგვიპტელი აფიცრები სიეზდის რეზოლიუციებს, რომელნიც ეგვიპტის მდგომარეობას შეეხება სოლიდარობას უცხადებენ. ისინი თანაგრძნობითვე შეხვდენ იმ დადგენილებებს, რომელნიც არმიისა და სუდანის საქმის შესახებ იქნა მიღებული სიეზდზე.

**აბდულ-ჰამიდი დურგლობს!** გაზეთებში ცნობები იყო იმის შესახებ, რომ ყოფილი სულთანი, აბდულ-ჰამიდი თავის მეფობის მემუარების შედგენას აპირებსო. ეს ხმები მართალი არ აღმოჩნდა. აბდულ-ჰამიდს თურმე თათრული ლიტერატურული ენა არ სცოდნია, გარს კი ისეთი პირები ახვევია, რომ არავის ამ საქმეში მისი დახმარება არ შეუძლია. მემუარების წერის მაგიერ აბდულ-ჰამიდი თავისუფალ დროს წვრილი სადურგლო ნივთების გაკეთებას ანდომებს.

**საბერძნეთის მდგომარეობა.** ახლანდელი პოლიტიკური მდგომარეობა ფინანსთა მინისტრის განცხადებით, საბერძნეთის სახელმწიფოს გაკოტრებას უქადის. ათინის რკინის გზებზე მოსამსახურენი გაიფიცენ. ქალაქი სურსათს სრულიად მოკლებულია.

**ადანიდან გაქცეულები.** სომხების პატრიარქმა ტელეგრამა მიიღო, რომ ორი ათასმა ოსმეხმა, რომელნიც ადანიდან გაიქცენ, თავი კიპრის კუნძულზე შეაფარაო.

**შეთქმულობა სტამბოლში.** ბერლინელი გაზეთების სიტყვით, კონსტანტინოპოლში პოლიტიკური შეთქმულობა აღმოუჩენიათ. შეთქმულობის სათავეში მდგარა გაზეთ „სერბესტის“ რედაქტორი, გუსეინ-ხილმი-ბეი. უკანასკნელი, დატუსაღების შემდეგ, გამოტეხილა და უთქვამს, რომ ამ შეთქმულობას მიზნათ ქონდა არსებულ კონსტიტუციონურ წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაო. განზრახვა გექონდა მთელი რიგი ტერორისტული აქტები მოგვეხდინა. სხვათა შორის, სიკვდილი გადაწყვეტილი ქონდათ: მახმუდ-შევკეტ-ფაშას, ენვერ-ბეის და ნიაზი-ბეის—ყველა ეს პირები „ერთობის და პროგრესის“ კომიტეტის დამცველები არიან. შეთქმულობის გამოაშკარავებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თურმე ბოსფორის ნაპირებზე.

### რუსეთი

**წინასწარი საარჩევნო კრება.** ნობელის სახალხო სახლში, პეტერბურგში, 12 სექ. ნ. დ. სოკოლოვის მომხრეებმა წინაას. საარჩევნო კრება გამართეს. კადეტებმა კრებაზე საუკეთესო ორატორები გაგზავნეს: მილიუკოვი, როდიჩევი, კუტლერი. კრებას დაესწრო უპარტიოთა კადიდატი კუზმინ-კარავაევიც. ხალხი ცოტა შეიკრიბა, კრებას სულ 200 კაცი და ქალი დაესწრო. ამას იმითი ხსნიან, რომ კრების ნებართვა პოლიციამ დროზე არ მისცა მთხოვნელებს და მოსაწვევი უწყებების დარიგება ვეღარ მოასწრეს.

თავმჯდომარე ისაჩენკომ პირველი სიტყვა ნაფიც ვექილ ნ. დ. სოკოლოვს მისცა. სოკოლოვმა დაახასიათა ს. დ. ტაქტიკა და შემდეგ კადეტების ტაქტიკა დუმაში და მის გარეშე და მათი მოღვაწეობის კრიტიკას შეუდგა.

კადეტების მთელი პოლიტიკა,—განაცხადა სოკოლოვმა,—ოპორტიუნიზმის განხორციელებაა და ლონდონში უნაყოფო მოგზაურობაც ხომ მიუტოვებელი შეცდომაა. კადეტებს უფლება არ ქონდათ მთელი რუსეთის სახელით ეთქვათ, რომ ოფიციალურ და არა ოფიციალურ რუსეთს შორის უფსკრული უკვე ამოვსილიაო. კუტლერის არჩევნებზე გაშავებით ამომრჩევლები ნათლათ გამოსთქვამენ თავიანთ შეხედულობას კადეტების ლონდონში მოგზაურობის შესახებო.

შემდეგ ილაპარაკა კუტლერმა. ის შეეცადა უარ ეყო წინა ორატორის შეხედულობა კადეტების ტაქტიკის და მოქმედების შესახებ. კუტლერმა იმის მტკიცებაც კი დაიწყო, ვითომ ს. დ. მუშათა სასარგებლო კანონ-პროექტების გაყვანას უშლიდენ ხელს დუმაში.

უკანასკნელათ ილაპარაკა კუზმინ-კარავაევმა. მან არსებითათ იგივე გაიმეორა, რაც ორ წინა კრებებზე სთქვა.

**ზარუდნის გაჩხრეკა.** ნაფიცი ვექილი ზარუდნი, რომელიც გერცენშტეინის საქმეს იცავს, ავტომობილით პეტერბურგში ბრუნდებოდა ფინლიანდიიდან. რუსეთ-ფინლიანდიის საზღვარზე ის სადამოჟნო განყოფილების მოხელეებმა გაჩხრიკეს. გაჩხრეკათ ზარუდნი განსაკუთრებულ ოთახში მიიწვიეს, სადაც სრულიად გააშიშვლეს. მთელი მისი ტანისამოსი დაწვრილებით დაათვალიერეს ეგებ შიგ რამე მთავრობის საწინააღმდეგო დოკუმენტი ვნახოთო.

**რედაქტორის ცემა.** „კიევ. უტროს“ რედაქტორი კარანტი ამას წინეთ ისეთ მდგომარეობაში ჩააყენეს, რომ იძულებული გახდა თვითონ ეთხოვა მთავრობისათვის გაზეთი დამიხურეთო. მუშებს ეს სწყენიათ და რედაქტორისთვის უცემიათ.

**ძაღლისაგან შეჭმული ბავშვი.** სოფ. დავიდოვოში ეკატერინა სუხოვა (19 წ.) ფეხმძიმეობისაგან განთავისუფლდა. ახლათ დაბადებული ბავშვი მან თავლის მახლობლათ დასტოვა უპატრონოთ. რამოდენიმე ხნის შემდეგ გლეხებმა შენიშნეს ძაღლი დიდი ხორცის ნაჭერს ძიძგნიდა. გარშემო სისხლის გუბე იდგა და ძაღლი სისხლში იყო ამოთხუპნული. ძაღლი თურმე ბავშვს ჭამდა. ბავშვს თავი და ხელ-ფეხი უკვე მოჭმული აღმოაჩნდა.

**ნაციონალური ჯგუფები დუმის არჩევნებზე.** პეტერბურგში მოხდა ებრაელების და პოლონელების თათბირი დუმის წევრის არჩევის შესახებ პეტერბურგიდან. ებრაელებმა და პოლონელებმა ერთხმათ გადასწყვიტეს ხმა მისცენ ერთერთ ოპოზიციონურ პარტიის კანდიდატს.

**ბელოუსოვი მინისტრთან.** დეპუტატმა ბელოუსოვმა დემიდოვის ქარხის მუშებისაგან დეპეშა მიიღო. მუშები იტყობინებიან მაღნებში მუშაობა შესწყვიტეს და ხვედრ ხელფასს არ გვაძლევენო. ბელოუსოვი ამის გამო 11 სექტებერს საჰვრო მინისტრ ტიმირიაზევთან იყო. მინისტრმა დეპუტატს აცნობა, რომ, როგორც ქარხნის ადმინისტრაცია იტყობინება, მუშაობა მუშების გაფიცვის გამო ყოფილა შეწყვეტილიო. ყოველ შემთხვევაში, მინისტრმა აღუთქვა საქმის ნამდვილ ვითარებას გამოვიძიებო.

**კოოპერატიული სიეზდი.** მომავალში პეტერბურგში გაიხსნება კოოპერატიული სიეზდი. სიეზდის პროგრამაში შემდეგი კითხვებია დასმული: 1) პროექტი კოოპერატიულ ამხანაგობების და კავშირების დებულებისა; 2) საზოგადო და სპეციალურ კოოპერატიულ დაწესებულებათა ადგილობრივი კავშირები; 3) სხვადასხვა კოოპერატიულ დაწესებულებათა ურთიერთ შორის დამოკიდებულება; 4) კოოპერატიული ბანკი და 5) კოოპერატიულ დაწესებულებათა გავრცელება.

**ს. დ. კომიტეტი.** უმართებულესმა სენატმა არ შეიწყნარა საკასაციო საჩივარი ეკატერინობურგის ს. დ. პარტიის კომიტეტის საქმის შესახებ. ყაზანის სამოსამართლო პალატის მიერ კომიტეტის წევრებს გადაწყვეტილი აქვთ: ორს—ოთხი წლის კატორღა, ერთს—სამუდამო გადასახლება, სჳს—ყველა ქალებია—თითო წლის ციხე. ბრალდებულთა შორის არის—ლიტერატორი ფეოდოროვიც.

**სვეაბორგის აჯანყება.** პეტერბურგის სამხედრო-საოლქო სასამართლოში ირჩევა საქმე სვეაბორგის აჯანყების შესახებ. პასუხისგებაში მიცემული არიან: ჰელსინგფორსკის ვაჭრის ვორობიოვის შვილი, ძმები და მეერ ტრელისერები, ხეიფეცი გეოეხი გალაგანა, გრიშენკოვი, სუხროვი და პერსიკოვი. მათ ბრალდებათ 1906 და 1907 წ. წ. ფინლიანდიის ს. ც. მ. პ. სამხედრო ორგანიზაციის წევრობა, ფინლიანდიაში მთავრობის საწინააღმდეგო კრების მოხდენა. ფინლიანდიის საარტილერიო პოლკში კომიტეტის დარსება და სხვა არსებულ სახელმწიფოებრივ წეს-წყობილების წინააღმდეგ მიმართული მოქმედებანი. ბრალდებულნი პასუხის გებაში არიან მიცემული 102 მუხლის ძალით. ბრალდებულთ იცავენ პეტერბურგის გამოჩენილი ვექილები.

### საზღვარ-გარეთ.

**ს. დ. პარტეიტაგი.** 12 (25) ენკენისთვეს დასრულდა ავსტრიელ ს. დ. პარტეიტაგის სხდომები. პარტეიტაგმა ერთ რეზოლიუციით პროტესტი გამოსთქვა ბარონ ერენტლის ავანტიურისტული პოლიტიკის წინააღმდეგ. პარტეიტაგი სასტიკათ გმობს ერენტალის სამხედრო მოქმედებას, რომლის გამო ხალხს მძიმე გადასახადი ედვა ტვირთათ.

---

# ახალი ამბები

**ხოლერა ბაქოში.** როგორც სააგენტოს დეპეშა იუწყება ბაქოში უკვე უჩენია თავი ხოლერას. ამ დღეებში ავათ გამხდარა ერთი 14 წლის ბავშვი.

✦ **რკ. გზა კავკას. ქედზე.** იმ კომისიამ, რომელსაც მინდობილი ქონდა კავკასიის მთებზე საუღელტეხილო გზის გაყვანის საკითხის გამორკვევა, უკვე დამთავრა თავისი მოქმედება. კომისიის აზრით, გზა აუცილებლათ იზარალებს და ვერასოდეს ხარჯს ვერ დაფარავს. მიუხედავათ ამისა სტრატეგიული მოსაზრებით აუცილებელია ასეთი გზა და, როგორც კი დამთავრდება მუშაობა ამურის რკინის გზაზე, საჭირო არის კავკასიის უღელტეხილზეც დაიწყოს მუშაობა.

✦ **განმარტება.** გამოიცა უმართებულესი სენატის განმარტება ქალაქის სასაკლაოების შესახებ. განმარტებაში ნათქვამია, რომ სასაკლაო არ უნდა იყოს ქალაქის თვითმართველობების მონოპოლია; ამიტომ, ქალაქის საბჭოს სავალდებულო დადგენილებანი, რომლითაც აკრძალულია კერძო სასაკლაოს არსებობა გარდა ქალაქისა არ არის კანონიერი და არ შეიძლება ძალაში დარჩესო.

✦ **თავის მკვლელი.** გუშინ, დილის 11 საათზე სომხურ ყოველ დღიურ გაზეთ „ორიზონის“ რედაქციის სადგომში, საექსპედიციო ოთახში რევოლვერით თავი მოიკლა ამავე რედაქციის კანტორის გამგემ დ. გალუსტიანმა. მიზეზი თავის მოკვლის გამოურკვეველია.

✦ **საავათმყოფო მუშებისთვის** 18 წლის წინათ ქალაქის საბჭომ დაადგინა გახსნას თფილისში საავათმყოფო მუშებისთვის. ამ საქმისათვის მაშინ გამგეობამ გადასდო 30,000 მან. იყო აგრეთვე კერძო შემოწირულებანიც, მაგრამ მას შემდეგ არავინ ყურს არ იბერტყს და დადგენილება დადგენილებათ დარჩა. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს.

✦ **რევიზია.** ადგილობრივ მთავრობის განკარგულებით, საგუბერნიო სამხედრო საკრებულოს მუდმივი წევრი ლ. ვ. სპეგალსკი იგზავნება ბორჩალოს მაზრაში, სადაც ის რევიზიას მოახდენს სამაზრო სამხედრო საკრებულოში.

✦ **ქალაქის საბჭოში.** 16 სექტემბერს მოხდა ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომა. გაირჩა მრავალი კითხვები, სხვათა შორის საკითხი ქალაქის პოლიციისათვის ფულის გადადების შესახებ. კრებამ, თითქმის უკამათოთ, დაადგინა შეტანილ იქნას პოლიციის შესანახათ მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვაში 268.746 მ. მომავალ წლისთვის, ხოლო ამ წლის უკანასკნელ ნახევრისთვის გადასდო 79,141 მან. ამასთანავე კრებამ დაადგინა 79, 141 მან. შესახებ იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რათა განთავისუფლდეს ქალაქი ამ ხარჯისაგან, ვინაიდან შემოსავალ-გასავალის ხარჯთ აღრიცხვა შედგენილიაო.

✦ **ქართული წარმოდგენების სეზონი** გაიხსნება 27 სექტემბერს. ამ დღეს წარმოდგენილი იქნება „სამშობლო“; მონაწილეობას მიიღებენ ყველა ის 5 დებიუტანტები, რომლებმაც 12 სექტ. „ღალატში“ ითამაშეს. ამას გარდა ისინი მიიღებენ მონაწილეობას კიდევ ორ წარმოდგენაში—„უბედურ ნაზიკში“ და „თამარ ცბიერში“.

✦ **ახალი სტიპენდიები.** ამას წინათ გვქონდა მოხსენებული, რომ განსვენებულ მირზოევის ქვრივმა წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას დააარსოს კიდევ 9 სტიპენდია განსვენებულ მირზოევის სახელობაზე. 16 სექტემბრის კრებაზე საბჭომ, სხვათა შორის, ამაზედაც იქონია მსჯელობა და შესაძლებლათ სცნო 9 სტიპენდიის დაარსება. სტიპენდია მიეცემა უმაღლეს სასწავლებლის მოსწავლეთ.

✦ **სამღვდელოების სიეზდი.** ამ მოკლე ხანში თფილისში მოხდება ქართველ სამღვდელოების სიეზდი. წარმომადგენლების ასარჩევათ საქართველოს საექსარხოსოში უკვე დაიწყო საბლაღოჩინოთა კრებები.

✦ **უფასო სასადილო.** 20 სექტემბერს დილის 11 საათზე აკურთხებენ ავლაბრის ბავშვთა უფასო სასადილოს ახალ შენობას.

✦ **ინტერნაციონალური დრამატიულ-კულტურული წრე.** ინტელიგენტთა ერთ ჯგუფს აზრათ აქვთ თფილისში დააარსონ „კავკასიის ინტერნაციონალური დრამატიულ-კულტურული წრე“. წესდება და სამოქმედო გეგმას შეიმუშავებენ ამ დღეებში.

✦ **ჩაქვის ჩაის პლანტაციების შესახებ.** გაზ. „ნოვ. ვრემ.“ ცნობებით, რუსეთ-ინგლისის ერთ გამოჩენილ სავაჭრო ამხანაგობის საშუალებით მოლაპარაკება აქვთ გამართული კუნძულ ცეილონის ჩაის პლანტაციების ერთ-ერთ ფირმის წარმომადგენელთან ჩაქვის ჩაის პლანტაციების იჯარით გაცემის შესახებ.

✦ **დახმარება.** თანახმათ თფილისის გუბერნატორის წინადადებისა ქალაქის გამგეობამ დაადგინა მიეცეს ქალაქის კასიდან ყოფილ პოლიციელს გ. სობჩინსკის 250 მ.

✦ **მკვლელობა.** ზუგდიდის მაზრაში სტრაჟნიკებს მოუკლავთ ნესტორ ჯაიანი, რომელიც შარშან გაიქცა ფოთის ციხიდან.

✦ **ცეცხლი.** ქ. ლენქორანიდან (ბაქოს გუბ.) გვატყობინებენ, რომ ამ დღეებში იქ ცეცხლი გაჩენია ადგილობრივ მცხოვრებ ი. მ. გუდინას წისქვილს და სულ ერთიანათ გადამწვარა. ზარალი 70,000 მანეთამდეა.

✦ **შეპყრობა.** 16 სექტ. 4 საათ. ნაწილში პოლიციამ დააპატიმრა საგენერალ-გუბერნატოროდან გაგზავნილი გ. ტონიანი.

---

**შეცდომის გასწორება:** „მომავალის“ გუშინდელ ნომერში ახალ ამბებში სწერია: „ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ბიბლიოთეკის გამგეთ არჩეულ იქნა იოს. იმედაშვილი“. უნდა იყოს **ქართულ დრამატიულ საზოგადოების ბიბლიოთეკის გამგეთ და სხ.**

---

*
* *

ბნელსა ჩაუნთქავს მთელი სამყარო,
არ სჩანს ბუნება გადაფურჩქნული,
გულს კაეშანი დრღნის და აწუხებს,
დხინავს, ხარხარებს ბოროტი სული!
ბნელეთის იქით მარტოკა იბდათ
ბრწყინავს, ციმციმებს ორი ვარსკვლავი,
მხოლოდ მათ სხივებს ვეღარ აბნელებს
სქელათ გაშლილი წყვდიადი შავი!
ის თვალებია ჩემი სატრფოსი
სხვათა მფრქვეველნი, გით მზე და მთვარე!
შორიმე მათი! ბალახს გერ ჰკვებო,
რომ მთიარით ყოველი მხარე!
ჰოი, თვალებო! ცხოვრების ბნელ გზას
თქვენ მიცისკროვნებთ, მხოლოდ თქვენ ერთი,
თქვენა ხართ ჩემი სარწმუნოება,
თქვენა ხართ ჩემი სიცოცხლის ღმერთი!
იბრწყინეთ მარად, მინათეთ ბნელი,
რომ სულ თამამათ ვიარო წინა
და იქ დავუმვა დროშა ბრძოლისა,
სადაც თქვენა გაქვთ მუდმივი ბინა!

**გ. რუხაძე.**

---

## საყოველთაო გაფიცვა შვეციაში.

(საკუთარი კორესპონდენტისაგან).

წრევანდელი ზაფხული ღირსშესანიშნავია ინტერნაციონალის მატიანეში. ჩვენ მოწამე ვართ მუშათა დიად ამოძრავებისა ევროპის ორ განაპირაზე—პირინეის და სკანდინავიის ნახევარ კუნძულზე. თითქმის ერთ და იმავე დროს იფეთქა ისპანიაში და შვეციაში მოძრაობამ. პირველში ბრძოლას სარჩულად დაედო პოლიტიკა, ან ომი მაროკოსთან, მეორეში—ეკონომიკა, ანუ მუშათა ლოკაუტი. პირველში ბრძოლის ფორმა იყო ბარიკადა, მეორეში—გაფიცვა. მაგრამ ორივე მოძრაობის განუყრელი ურთიერთი ნათესაობა ცხადზე უცხადესია: ორივეში მთავარი მომქმედი პირი არის პროლეტარიატი, რომელიც იბრძვის ერთ ალაგას ხმლით ხელში, მეორე ალაგს გაფიცვით.

არც ისე დიდი ხანია, რაც მოწუწუნე რევიზიონისტებმა გამოაცხადეს, რომ ბარიკადა ისტორიას ჩაბარდა და „საერთო გაფიცვა საერთო სისულელეაო“. რუსეთის მოძრაობამ მხოლოდ ცოტა ხნით შეაჩერა მათი იერემიადა; შემდეგ ისინი იმდენათ როდი იგლოვდენ რევოლიუციის დამარცხებას, რამდენათ, პირიქით, ხარობდენ მათი აზრების „გამარჯვებას“. დღეს ისევ აუბნია მათ გზა-კვალი ისპანია-შვეციის მოძრაობამ. გამოდის, რომ, მიუხედავათ მათი პროგნოზისა, პროლეტარიატი არც ერთ საბრძოლველ საშვალების წინ არ იხევს უკან, თუ ამას მოითხოვს დრო და ალაგი. მაგრამ მათ დარჩენიათ კიდევ ერთი საბუთი, ეს რომანელ ერთა ტემპერამენტი, რომელიც, მათი აზრით, არაფერს გვეუბნება გერმანელებზე...

ახლა ეს საბუთიც უსხლტებათ მათ ხელიდან. სწორეთ გერმანელთა მოდგმის შვედნი განიცდიან ახლა „საერთო

სისულელის“ ჰქონს, ისინიც რომანელთა სენს შეეპყრია! მასთან ნუ დაგვავიწყდება, რომ შვედნი მათი **ზომიერობით** ცნობილი იყვნენ ინტერნაციონალში. მაშასადამე, საქმე ამა თუ იმ პირის ან მთელი ჯგუფის სულისკვეთებაში აღარ ყოფილა; თვით პროლეტარულ ბრძოლას აქვს პირიქით, თავისი გარდუვალი ლოღიკა, რომელიც იმორჩილებს ზომიერთაც.

მართლაც და, რას ვხედავთ ჩვენ შვეციაში? სახელმწიფოს შიგნით გაჩენილა ორი ვეება ორგანიზაცია, რომელთა შორის გაჩაღებულა ნჯღრევა-შეხეთქება. საკმაოა აღვნიშნოთ, რომ ერთი მათგანი მუშებისაა, მეორე კი პატრონების, და ჩვენთვის აშკარაა მაშინ ასეთი ვითარების გარდუვალი შედეგები. შვეციის მუშათა პროფესიონალური კავშირები თავიანთ სოლიდარულ—ცენტრალისტურ მიდრეკილებით იქცენ ისეთ ძალათ, რომელიც ელობება წინ პატრონების მისწრაფებას მოგებისადმი; სამაგიეროთ, პატრონებიც აარსებენ საკუთარ ცენტრალისტურ კავშირს, რომელიც სასტიკათ იცავს „ჩემს სახლში მე-ვარ ბატონობას“. ასეთ სოციალ-ეკონომიურ პირობებში ტერმომეტრი არაფერი მოსატანია, თავი და თავი ზევით აღნიშნული ფაქტია, რომელიც არ დაგიდევს არც ზომიერობას და არც ძალიან უკიდურესობასაც. ძირითადათ ანტაგონისტური ორგანიზაციები ადრე თუ გვიან უნდა დაეხეთქონ ერთმანეთს, კონფლიქტები მათ შორის თვით მათი სიცოცხლის შინაარსია, — ესა თავი და თავი.

რა იყო მახლობელი ან კონკრეტიული მიზეზი საერთო გაფიცვისა შვეციაში? პატრონების კავშირმა მოიწადინა, რომ ზოგ მის წევრთა ფაბრიკა-ქარხნებში რამდენიმე ათას პროლეტარის შრომის პირობები **გაუარესებულიყო**. როცა დაინტერესებულ მუშათა ორგანიზაციებმა ამაზე უარი განაცხადეს, პატრონების კავშირმა მიმართა თანამედროვე იარაღს—ლოკაუტს, ხოლო რომ უკანასკნელის მძვინვარება უფრო საგრძნობი ყოფილიყო, მან გაავრცელა იგი მუშათა ისეთ ორგანიზაციებზეც, რომელნიც სულაც არ ერივნენ პირვანდელ დავაში. რას ნიშნავს ეს? პატრონები ეუბნება მუშათა ერთ წყებას: თუ არ დაგვნებდი, შენთან ერთად **მეორე წყებასაც** დავსჯი. რას ერჩიან მეორე წყებას? რა დააშავა მან? აი, სად ინასკვება მუშათა სოლიდარობის მტკიცე ძაფი. თუ მუშათა ერთი წყება მუშათა მეორე წყების მიზეზით ისჯება, — ცხადია, მათ შორის რაღაც აუცილებელი, რაღაც უჩინარი კავშირი უნდა არსებობდეს. ეს ასეა და პროფესიონალთა ცენტრმაც სწორეთ ასე შეხედა საგანს. მან სამართლიანათ აღიმაღლა ხმა პატრონთა კავშირის წინაამდეგ, რომელიც ვერაგულათ სპობდა ერთი დაკვრით მუშათა განუყრელ უფლებას—**თანაბარი მონაწილეობა მიიღონ შრომის პირობების განსაზღვრაში.** პატრონთა კავშირი მართლაც ლამობდა ამ უფლების მოსპობას, იგი უკარნახებდა ცალმხრივათ შრომის პირობებს, მუშები კი უსიტყვოთ უნდა დამორჩილებოდნენ მათ ხეპრულ ბრძანებას.

როგორც ხედავთ, დავამ პრინციპიალური ხასიათი მიიღო. არიან თუ არა მართლა თვითმპყრობელი ბატონები ფაბრიკა-ქარხნის მეპატრონენი, როგორც ისინი გაიძახიან წამ და უწუმ, თუ მუშათაც აქვთ **თან განსაზღვრული** უფლება, მაშასადამე, შრომის პირობა იურიდიულათ ორ-მხრივანი უნდა იყოს? პროფესიონალებმა მხოლოდ ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ მოიპოვეს ასეთი უფლება, ნაწილათ, რასაკვირველია; პატრონებმა კი, მოიწადინეს მისი გაქარწყლება, — აი ბრძოლის პრინციპიალური მხარე.

მკითხველმა უკვე იცის საერთო გაფიცვის მსვლელობა, მისი გასაოცარი ხანგრძლივობა და სიდიადე. ჩვენ დაგვრჩენია ხაზი გავუსვათ კიდევ ერთ ფრიად საგულისხმო მხარეს. გაფიცვამ ძალზე შეარყია მთელი სახელმწიფოს ნორმალური ცხოვრება, შეწყდა თითქმის საზოგადოების მაჯის ცემა. ამას შედეგათ მოყვა მცხოვრებთა ათასგვარი უწყობა ნივთიერათ და შიში ხვალინდელ დღეზე. გაფიცულთ მიზნათ არ ქონიათ, რასაკვირველია, უდანაშაულო საზოგადოების რიგ წრეების დასჯა; მასთან ისინი მხოლოდ **იგერიებდენ** პატრონთა კავშირის თავზედ მოხდომას, მაგრამ სწორეთ ომის **დამწყები** პატრონები და მათი ერთგული ბურჟუაზიული პრესა ურცხვათ გაიძახიან: გაფიცულნი ემუქრებიან საზოგადოებას, ამიტომ საზოგადოებამ ისინი მიწაზე უნდა დაანარცხოსო! მთავრობაც ხომ ხმას აყოლებს ამ მოძახილს. აქედან ცხადია, თუ რა საფრთხილით უნდა ეპყრობოდენ მუშები ბრძოლის გარეშე მდგომ ფართე საზოგადოების ინტერესებს. პირდაპირ დაუფასებელია და აუცილებელიც საერთო გაფიცვის დროს საზოგადოების მორალური თანაგრძნობა. შვეციის პროფესიონალნიც სწორეთ ამ მიზნით აცხადებენ წინდაწინვე, რომ მუშაობა არ იქნება შეწყვეტილი ბალღებ-ავათმყოფთა და პირუტყვთა საზიანოთ, აგრეთვე სიწმინდე და სინათლის მოსასპობათ და სხ. კაცთ-მოყვარეობა ხომ მუშათა თანდაყოლილი ნიშანია, როგორც მშვიდობიანობის, ისე ომის დროს.

შვეციის გაფიცვაში მონაწილეობას არ ღებულობს სასოფლო-სამეურნეო დარგების პროლეტარიატი, რომელიც ჯერ არ არის შეკავშირებული; ეს გარემოება ფრიად საზიანო გამოვიდა. ეს ცოცხალი მაგალითი კიდევ უფრო განამტკიცებს იმ აზრს, რომ აუცილებლათ საჭიროა სოფელში განუცხრომელი პროპაგანდა-აგიტაცია.

შვეციის საერთო გაფიცვა, როგორც ზევით შევნიშნეთ, ეკონომიურ-პროფესიონალური იყო, მაგრამ მისი არაჩვეულებრივი „რაოდენობა“ აშკარა **პოლიტიკურ** „თვისებათ“ იქცა. პატრონები უპირდაპირებენ გაფიცულთ საზოგადოებას, გაფიცულნი კი უპირდაპირებენ შრომას კაპიტალს, გაყვლეფილთ გამყვლეფელთ, სოციალიზმს კაპიტალიზმს და ასე ბოლომდე. ამით აიხსნება მსოფლიოს შეგნებულ პროლეტარიატის ალტაცებული თანაგრძნობა და ნივთიერი დახმარება მებრძოლ მუშებისადმი შვეციაში. შვედელი მუშები ამაყათ გაიძახიან: ჩვენ მარტო არა ვართ, ჩვენთანაა ინტერნაციონალიც!

**ერთი ვინმე.**

## კიდევ ქართული წარმოდგენების გამმართველ სექციის რეორგანიზაციის გამო.

**(პასუხათ ბ. ვასო ლაშქარიშვილს.** იხ. „მომავალი“, № 16)

ბ. ვასო ლაშქარიშვილი გვეკითხება, რისთვის მოგვიწვიეთ თუ არაფრის გაკეთება არ შეგვეძლოო? მოგიწვიეთ, რომ გემუშავნათ, მაგრამ სამწუხაროთ, თქვენ (პირადათ თქვენზე ვლაპარაკობ) სრულიად გამოუსადეგარი აღმოჩნდით. აბა, სცადეთ და დამისახელეთ ერთი მაინც სექციის წევრი, რომელიც თქვენი წინაამდეგი არ იყო, რომელიც იტყვის, რომ თქვენ სექციაში რაიმე ადგილი გქონდათ ან და თქვენ თითონ გვიბრძანეთ, ბატონო ვასო, რა გაგიკეთებიათ სექციაში ყოფნის დროს?

მიუხედავათ იმისა, ან და შეიძლება იმიტომაც, რომ თქვენ ბევრს დარბოდით, როცა ახალი წევრი იყავით, თქვენ არაფერი არ გაგიკეთებიაა, გაფუჭებით კი გააფუჭეთ. დიდი საქმეები ჩვენ არასოდეს არ გვიკეთებია, ვერც თქვენ მოგანდობდით. ჩვენი მუშაობა წვრილმანებისაგან შესდგებოდა. ამ წვრილმანებს თქვენ აფუჭებდით და ამით საქმე ფერხდებოდა. ასე იყო საქმე ავჭალის აუდიტორიაში.

როცა სახალხო სახლში დავიწყეთ მუშაობა, თქვენ ორ თუ სამ წარმოდგენაზე დაესწარით და იმდენათ შორს უდექით სექციის საქმეებს, რომ ჩვენი მუდმივი სცენის მოყვარეთა უმრავლესობა „მომავლის“ მე-16 ნომრიდან პირველათ გაიგებს თქვენს არსებობას.

ამის შემდეგ განა მომაკვდინებელ ცოდვათ არ ჩამეთვლებოდა, რომ მე თქვენი მომხრე ვყოფილიყავი? ან ვინ იყო თქვენი მომხრე?

— არასოდეს არ მომხდარა, რომ სისტემატიურათ მთვრალი ევლოს ვისმე კრებაზეო, საქმის მცოდნე კაცის კილოთი ბრძანებთ ბ. ვასო ლაშქარიშვილო. მერე თქვენ საიდან იცით ეს? 18 სხდომიდან თქვენ ხომ 7 მეტს არ დასწრებიხართ? დანარჩენ თერთმეტ სხდომასაც რომ დასწრებოდით, მაშინ გეცოდინებოდათ, რომ ამნაირი შემთხვევა რამდენიმე იყო.

— ერთი მოვლენა იყო და მასაც თავისი მიზეზი ქონდაო, განაგრძობთ. გამოცანა გერგებათ. ყოველ მოვლენას თავისი მიზეზი აქვს. სიმთვრალესაც თავისი მიზეზი ექნებოდა. მხოლოდ ეს მიზეზი, გარწმუნებთ, სექციის საქმეებში კი არა, სადმე სარდაფებში იქნება.

— როდესაც გადაწყდა რეორგანიზაცია სექციისა და კითხვა დაისვა კომისიის არჩევის, პირველი მომხრე თქვენ იყავით ბ ნ ტ—ძევ კომისიის, რიხიანათ ბრძანებთ და თან სიცრუესა ბრძანებთ ბ-ნო ვასო. თქვენ ხომ იმ სხდომაზე, როდესაც ეს კითხვები გადაწყდა, არა ბრძანებულხართ? როგორ ძლევთ თავს ნებას და აგრე რიხიანათ ბრძანებთ მას, რაც არ იცით? რომ დაგემდაბლებიათ თავი და სხდომას დასწრებოდით, თქვენი ბედნიერის თვალით ნახავდით, რომ მე არც პირველი და არც უკანასკნელი მომხრე კომისიისა არ ვყოფილვარ. ჩემი წინადადება იყო: „ყოველი სექციის წევდააკვირდეს თავის მოქმედებას სექციაში და თუ დაინახავს, რომ მას საქმისათვის სარგებლობა არ მოაქვს, სექციას თავი დაანებოს და სხვა უფრო მომქმედ ელემენტებს დაუთმოს ადგილი“. ეს წინადადება სხვათა შორის თქვენს წინაამდეგაც იყო მომართული და რომ ის მიეღოთ, დარწმუნებული ვარ, იმდენ მოქალაქობრივ მხნეობას გამოიჩენდით, რომ დაანებებდით სექციას თავს.

ბ. სვირელის წინადადება იყო: „ვინც სხდომების 40 პროც. არ დასწრებია, სექციიდან გამოვრიცხოთო“. არც ეს წინადადება მიიღეს (მეც წინაამდეგი ვიყავი), თორემ, რომ მიეღოთ, თქვენ იძულებული იქნებოდით, რადგან სხდომების 61 პროც. არ დასწრებიხართ.

არჩეულ იქნა კომისია. კომისიამაც ერთხმათ უკამათოთ გამოგრიცხათ თქვენ სექციის წევრობიდან. იქნება კომისიის წევრებიც მუშების წინაამდეგი იყვნენ? (ამით არ დააკლდება რა არც სხვას, არც თქვენ. ეს კია, რომ წინანდებურათ სცენის მოყვარეებს ვეღარ ეტყვით რიხიანათ: „მე უბრალო ვინმე არ გეგონოთ: თქვენ სექციის წევრთანა გაქვთ საქმეო“).

თქვენს სხდომებზე დაუსწრებლობას მე მაბრალებთ, როგორც სექციის მდივანს. მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო, სწორეთ ამაზე ითქმის. აბა სხვას ვის ვატყობინებდი, რომ თქვენთვის შემეტყობინებია? სხდომებს ნიშნავდა მდივანი კი არა, თავმჯდომარე და იგივე გატყობინებდათ ყველას წესიერათ. ამის შესახებ საყვედურს ვერავინ იტყვით. მე კი საყვედურს არც მივიღებ, რადგან ეს ჩემს მოვალეობას არ შეადგენდა. მე მდივნათ ამირჩიეს მხოლოდ ამა წლის 5 აპრილს. მანამდის კი, მდივნებათ იყვნენ ჯერ ბ. ი. ზურაბიშვილი, შემდეგ ბ. დ. დუმბაძე. (აბა იმათ მაინც კითხეთ, თუ როდისმე ვისთვისმე შეუტყობინებიათ სხდომის დრო და ბინა!)

თქვენ რომ დაგიჯეროთ, იმ აზრს უნდა დავადგეთ, რომ ქ-ნნი რომანიშვილი და დემურია თქვენი გამორიცხვის წინააღმდეგნი იყვნენ. მე კი ასეთ შეურაცყოფას მათ არასოდეს არ მივაყენებ. პირიქით, ქ-ნი რომანიშვილი (იხ. „მომავალი“ № 6) ამბობს: მე თანახმა ვიყავი იმ სამი ოთხი პირის გამორიცხვის, რომლებიც არაფერს არ აკეთებდენო. როგორა გგონიათ, ბ-ნო ვასო, იმ სამ-ოთხთაგანი ერთი თქვენ იქნებოდით თუ არა?

— ბ. ტ—ძეს და კომპანიას რომ ანტი-დემოკრატობა არ გამოსვლოდათ მოიწვევდენ ჩვენს მაგიერ „უფრო—მცოდნე დიპლომიან მუშებს“-ო, ბრძანებთ. ეს უკანასკნელი სიტყვები ფრჩხილებში ჩაგისვამთ. რათა? იქნება არა გჯერათ რომ თქვენზე უფრო მცოდნე მუშები არსებობენ თფილისში? ან რას ნიშნავს „დიპლომიანი მუშა“? მე ბევრი ვიფიქრე, მაგრამ ვერ მივხდი. ვფიქრობ, არც თქვენ თითონ უნდა გესმოდეთ მაგ სიტყვების მნიშვნელობა. დიპლომიანის რა მოგახსენო და მცოდნე მუშების მოწვევის მომხრე კი ვიყავი იმიტომ, რომ სექციის უმრავლესობა მუშაობაში მონაწილეობას არ იღებდა თუ ვერ იღებდა და უმციროსობა კი ვერ ახერხებდა საკუთარი ძალღონით საქმე სასურველს ნიადაგზე დაეყენებინა. მე რომ მუშების მოწვევა მხოლოდ სარეკლამოთ მდომებოდა, როგორც თქვენ ამბობთ, მაშინ თქვენზე უკეთესებს ვიღას ვიშოვნიდი? თქვენთან ხომ შემეძლო ისე მემოქმედნა, როგორცა მსურდა, სექციის დაუკითხავათ ან და სექციის პირდაპირი გადაწყვეტილების წინააღმდეგ? თქვენ ხომ არავითარ წინააღმდეგობას არ გამიწევდით, როგორც არ უწევდით სექციის სხვა წევრებს ამნაირსავე შემთხვევაში? ის მცოდნე მუშები კი, რომლების მოწვევის მომხრეც ვიყავი, ნებას არ მომცემდენ ასე მოვქცეულიყავი.

— ხშირათ უთქვამს ბ. ტ—ძეს: მუშა რეცენზენტებს იმდენი გაეგებათ თეატრისა და რეცენზიის წერის, რამდენიც მე ჩინური ენისო. სიცრუეს ბრძანებთ, ბ-ნო ვასო ლაშქარაშვილო! მე ეს სიტყვები არასოდეს არ მითქვამს და ვერც ვიტყოდი, რადგან დღესაც არ ვიცი, მოიპოვებიან თუ არა თფილისში **მუშა-რეცენზენტები.** ან და კიდევაც რომ მეთქვას, რა დამოკიდებულება აქვს ამ სიტყვებს სექციის რეორგანიზაციასთან? (თქვენც სექციის იმ წევრს ხომ არა ბაძავთ, რომელიც ცდილობს ჩემ კერძო ცხოვრებიდან გამოძებნოს ისეთი ფაქტები, რომლებიც ჩირქსა მცხებდენ? მისდა სამწუხაროთ, ჯერ ვერაფერი გამოუძებნია. იქნება თქვენ მაინც დაეხმაროთ!)

— იმედი გქონდათ, რომ თქვენ და თქვენი კომპ. გახვიდოდით კომისიაში და რა დაინახეთ... ვერ გახვედით, მოჰყევით ყვირილს... მე რომ კომისიაში ვერ გავიდოდი, ეს ჩემთვის აშკარა იყო 25 მაისის სხდომის შემდეგ. ცხრანი უკვე ჩემს წინაამდეგ იყავით და რომ თოთხმეტში ცხრა ხმა უმრავლესობას შეადგენს, ამდენის გამოანგარიშება კი შემეძლო. მიუხედავათ ამისა მე მაინც რეორგანიზაციის მომხრე ვიყავი, თქვენ კი წინაამდეგი. რათა? მე ვიცოდი, რომ ვინც უნდა მოეწვიათ სექციაში, თქვენზე უკეთ გაუძღვებოდენ საქმეს. თქვენც იცოდით აგრეთვე, რომ ვინც უნდა გასულიყო კომისიაში უკანასკნელი ვერ გაბედავდა თქვენს მოწვევას. კომისიის არჩევის გამო მე ყვირილი არ დამიწყია. კომისია ავირჩიეთ 25 ივნისს. ივლისში მან უკვე დაამთავრა თავისი მუშაობა და სია წარუდგინა სახალხო უნივერსიტეტის გამგეობას. ჩემი წერილი კი დაიბეჭდა 23 აგვისტოს და ისიც იმიტომ, რომ ვიღამაც შეცდომაში შეიყვანა და ყალბი ცნობები მოათავსებინა გაზ. „დროებაში“ უკანასკნელის რეპორტიორს.

**ს. ტოროშელიძე.**

# პროვინცია

**ბათომი.** სამოსწავლო წლის დაწყებიდან მოკვდინებულ ბათუმს გამოცოცხლება დაეტყო. ყველა სასწავლებლები, უმეტესათ კი, პირველდაწყებითი სკოლები ბავშებით გაივსო. საგრძნობელი ნაწილი სასკოლო ბავშებისა უადგილობის გამო გარეთ დარჩა.

ბარცხანაში ადგილობრივ მცხოვრებთა, თუმცა მცირე-რიცხოვანის და ხელმოკლეების მეცადინეობით და ხარჯით ამ რამდენიმე თვის წინათ დაარსდა სამინისტრო სკოლა. მასწავლებელის ხელმძღვანელობით სკოლა ჯერეთვე სამაგალითოთაა მოწყობილი. სკოლას აქვს პატარა სასკოლო აფთიაქი, ბიბლიოთეკა და საკმაო სასწავლო მოწყობილობა. ვუსურვებთ წარმატებას. მხოლოდ არა სასიამოვნოა, რომ ბარცხანელებმა თავის სკოლასთან და მოსწავლეებთან ერთათ თავიანთი ხმა შეურთეს ცნობილ პოლტავის დღესასწაულს და სკოლა მაშინდელი გმირის სახელით მონათლეს.

— ბათუმის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ დაადგინა: პირველ ოქტომბრიდან გახსნილ იქნას ქართული, რუსული და სომხური სკოლები. ამისთვის მიანდო თავის სასკოლო კომისიას შეიმუშაოს სამოსწავლო გეგმა და მოიწვიოს შესაფერი მასწავლებლები.

— ზავოდების დახურვის შემდეგ მუშების უმეტესმა ნაწილმა სოფლათ ოჯახს შეაფარა თავი, ზოგმაც, ოჯახს მოკლებულმა, თავის ახლო ნათესავთან შეაფარეს თავი. ვისაც არც ერთი და არც მეორე გააჩნდა აქვე ირჩიეს დარჩენა. ესენი ერთმანეთის და უმეტესათ კი, აქაიქ ადგილზე დარჩენილ თითო-ოროლა ბედნიერი მუშების დახმარებით, რამდენიმე დღეს მაინც მუშაობდენ თვეში და ასე ნახევარ მშიერს გაქონდათ დღეები. სამწუხაროთ, დღეს ასეთი სოლიდარობის და დახმარების ნიშნების მაგიერ სულ წინააღმდეგს ვხედავთ. მაგალითათ, ამ დღეებში სიდერიდის „ზავოდის“ ადმინისტრაციამ შესაძლებლათ დაინახა გაფართოებინა მუშაობა, რისთვისაც საჭირო იყო ოცდა ხუთი კაცი, ამათში თუთხმეტი თვით ადმინისტრაციამ მიიღო, დანარჩენი ათის მიღება კი მუშებს დაავალა, მაგრამ მუშებმა მიუხედავათ უმუშევარ მუშების ათასნაირ ხვეწნა-მუდარისა და წინადადებისა ასწიეს და ადმინისტრაციის თხოვნა მიართვეს, რითაც სთხოვენ არ მიიღოთ ახალი მუშები და ისინი შეასრულებენ აღნიშნულ სამუშაოს.

**დოსტ.**

**ს. ლანირი** (იმერეთი). რამდენიმე ხანია აქ დაარსდა უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველო. უს[illegible]ხურა. რომ ფეხზე წამოეყენებიათ აქაურმა ახალგაზდობამ განიზრახა წარმოდგენის გამართვა. თქმა და საქმის შედგომა ერთი იყო — აირჩიეს პიესა და ქუთაისში კაცი გაგზავნეს გუბერნატორთან ნებართვის ასაღებათ, მაგრამ დახეთ უბედურებას, ვიღაცის დაბეზღებით წარმოდგენის ინიციატორთაგან სამი კაცი დაიჭირეს და წარმოდგენის ნება არ მისცეს. თურმე ვიღაცას დაებეზღებია — ლანირში მთავრობის საწინააღმდეგო კრებას მართავენო. ნამდვილათ კი წარმოდგენის შესახებ იკრიბებოდენ და რეპეტიციებს მართავდენ. ამგვარათ, დაწყებული საქმე ჩაიშალა და სამკითხველოც დაიკეტა.

**პ. ელიხოშვილი.**

**დ. ჭიათურა.** ამ რამდენიმე დღის წინათ ვიღაც ბოროტ-მოქმედმა, თავის ოთახში დანით ყელი გამოსჭრა ვაგონის დამტვირთავ მოიჯარადრეს ილიკო ბახტაძეს. მკვლელობის მიზეზი არ იციან. ეჭვით დააპატიმრეს რამდენიმე მუშა, რომლებიც მეორე დღეს გაანთავისუფლეს, გარდა კირილე სიხარულიძისა, ვასილ კვანტალიანის და ღვანიძისა.

9 ენკენისთვეს მადნეულიდან შავი ქვის გადმოზიდვა სავსებით შესწყდა. წვრილმა მწარმოებლებმა მუშაობის შეჩერება გამოაცხადეს. შეჩერების მიზეზი ფირმა „შალკერის“ მიერ ნახევარ კაპეიკის დაკლებაა. წვრილმა მწარმოებლებმა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს სთხოვეს: მუშაობა გვინდა შევაჩეროთ და გაფიცვათ არ ჩაგვითვალოთო. გუბერნატორმა ნება დართო.

**გიზო.**

**ოზურგეთი** (გურია). ამას წინეთ არჩეული ადგილობრივი წიგნთ საცავ-სამკითხველოს გამგეობის წევრები ბ. ქუთაისის გუბერნატორმა ყველანი დაამტკიცა, გარდა ბ. სილ. თავართქილაძისა.

— ამ დღეებში მომრიგებელმა შუამავალმა ბ. გეგიძემ სათანადო მთავრობისაგან მიიღო გურიის 25 სოფლის საზოგადოების „პრიგოვორები“, რომელიც ამას წინათ წარუდგინეს გუბერნატორს დასამტკიცებლათ მომავალი რეალური გიმნაზიის გახსნის შესახებ ადგილობრივ შესამოწმებლათ. ამის გამო ბ. გეგიძე ქალაქის თავთან ერთათ უკვე გაემგზავრა სოფლათ ხელ-ახალი წოდებრივი „პრიგოვორების“ შესადგენათ. როგორც გადმოგვცეს, ლიხაურის, დვაბზუს, შემოქმედის და ბახვის საზოგადოების მცხოვრებთ უკვე შეუდგენიათ ხელახალი „პრიგოვორები“.

— 8 სექტემბერს, ოზურგეთში ჩამოვიდა სახალხო სკოლების ინსპექტორი ბ. მაჭავარიანი, რომელსაც მინდობილი აქვს გამოსაძიებლათ საქმე ამას წინათ მომხდარ კონფლიქტის შესახებ გორგასლიძესა და კ. ნაკაშიძეს შორის.

— ადგილობრივ სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის ბ. რისტკოვის საქმე, რომელიც მის თანაშემწეს ბ. ჩუნიხინს სხვადასხვა ცილის წამებას (სკოლაში „უზნეობის“ შეტანას) უჩიოდა, განსახილველათ დანიშნული იყო 5 ამა სექტემბერს, მარა რადგან ბ. ჩუნიხინმა ახალი მოწმეები დაასახელა, ამისათვის საქმის გარჩევა გადაიდო სხვა დროისათვის.

— რადგან ლატარია-ალეგრი 6 სექტემბერს არ მოთავდა, ამისთვის სათანადო მთავრობის ნებართვით გაგრძელდა 8 სექტემბერს. ამ დღესაც ხალხი ბლომათ დასწრო. თუმცა ამ დღეს ბაღში შესვლა უფასოთ იყო, მიუხედავათ ამისა, მარტო ლატარია-ალეგრიდან შემოვიდა 150 მანეთამდე.

— ქალაქის თავმა ამ დღეებში შუამდგომლობა აღძრა სათანადო მთავრობის წინაშე, რათა ნება მიეცეს ქალაქის თვითმართველობას აიღოს ნებართვა ავტომობილის მიმოსვლის შესახებ სად. ნატანებიდან ქალ. ოზურგეთამდე და აქედან კი სად. საჯევახომდე.

— 8 სექტემბერს, სეირნობის გათავების შემდეგ, ვიღაც უცნობ ახალგაზრდას შეუჩერებია სახლში მიმავალი ივ. ტრაპაიძე და ფულები მოუთხოვია (ტრაპაიძე მსახურებს კ. ქელბაკიანის სავაჭრო სახლში ქუთაისში, ბუხგალტერათ,

ოზურგეთში კი წინა დღით ჩამოვიდა) მარა, ვინაიდან ტრამვაიმ ფულები არ აღმოაჩნდა „ბოდიში მოუხდიათ" და ისე მიმილიუნან.

— 9 სექტემბერს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ტვინის ანთებით გარდაიცვალა უჩხობის სოფლის ორკლასიანი სკოლის მასწავლებელი ესე ამბოკიძე ჯანჯგავა. ის ცნობილი იყო თავის ამხანაგებში როგორც კეთილი და პატიოსანი ადამიანი. **კდუ**

**ს. ქვალონი** (ზუგდიდის მაზრა). 6 სექტემბერს ღამით თავი მოიკლა მეთო ქანტურიამ. თავის მოკვლის მიზეზი შემდეგი ყოფილა: მისი ქალიშვილი მამის დაუკითხავად ცოლად გაყოლია ვიღაც გლეხებს. მამა მისული და თუმცა ქალი უარზე იდგა, მაინც პოლიციის შემწეობით ჯავრს წამოუყვანია. ხოლო დღის შემდეგ ქალი ისევ გაქცეულა საქმროსთან. მამამ ვერ აიტანა ასეთი შეურაცხყოფა და თავი მოიკლა.

— პირველ სექტემბერს, დღისით დაიწვა ცხრა ლეშვი და ორი სახლი. ზარალი 15 ათას მანეთამდეა. **აქაური**

**ს. ამბუნი** (კოდორის ნაწილი). გვალვიანმა ზაფხულმა სიმინდები სულ ახმო. ვენახებიც ახმა. სოფელს შიმშილობა მოელის.

ყველა ამასთან აქ გავრცელდა მუცლის ავადმყოფობა. არასადან საექიმო დახმარება არ არის. ხალხი ძრიელ შეწუხებულია.

აქ განცდა ერთი უცნობი, რომელმაც ხალხს ჩააგონა, რომ მას ღმერთი გამოეცხადა და უთხრა: ხალხი გაირყვნა, ალახსწამი არაფერი და ჩემს რისხვას მოელონ. ეს ხალხი მეშფოთ და ...

**ჯაჯანი** (იმერეთი). 5 სექტემბერს, სადამოს, მამასახლის თანაშემწემ ჩამოუარა სოფელს და გამოაცხადა: ... 

**ს. ბუანი** (გურია) 1906 წლიდან ...

...

**ბერიმეტონ**

### ფოთის ამბავი

ფოთის ქალაქის ...

...

**ბ. ზუბაშვილი**

ქენუა ...

...

**ფილიპე ბერძენიძე**

### მუშათა შორის

**სად. ბალდახარი.** ...

...

**გ. ხალხიაშვილი.**

**კისლოვოდსკის** რესტორან-ბუფეტების მოსამსახურეები. გავიდა სეზონი და კისლოვოდსკიც დაცარიელდა. წელს აუარებელი მთაგარაკენი მოაწყდა კისლოვოდსკს. რესტორან-ბუფეტების ხაზეინებმა დიდი მოგება ნახეს, მაგრამ მათი გული ამან მაინც ვერ გაძღო. შავგულიძემ ყველას გადააჭარბა. ადგა და მოსამსახურეებს დაკარგულ ნივთების სადასათ ნახევარი ჯამაგირი გამოუქვითა (სულ 2000 მანეთამდე) მისი რჩევით ნიტუჯმა სულ არ მისცა მოსამსახურეებს ჯამაგირი. მათ უნდოდათ მთავრობისთვის მიემართათ, მაგრამ იმის შიშით, რომ მომავალში ადგილს დავკარგავთ, ხმა ვეღარ ამოიღეს და მთელი ჯამაგირი ხაზეინს ჩაუტოვეს. **ქარიშხალი.**

---

**ბოზარჯიანცის თამბაქოს ქარხანა.** „საბერემდი საქანდეს უნდა მოელოდე კაცით" სწორეთ ჩვენზეა ნათქვამი. ხაზეინები, რომ ხეირს არ დაგვაყრის და უფლებათვის ეცდებიან უფრო მეტათ გაგვყლიფონ, ამას მუდამ ველით, მაგრამ თუ ჩვენივე ამხანაგი მუშები ხაზეინებზე მორს წავიდოდნენ ამას კი აღარ მოველოდით. ასეთი ამბავი მოხდა ჩვენ ქარხანაში. აქ არსებობს რამდენიმე განყოფილება. ერთ განყოფილებაში, სადაც ბანდეროლს აკრავენ პაპიროსებს. ამ განყოფილებაში გამოჩნდა რამდენიმე მუშა, რომლებსაც მეტად აძქარეთ ქარის მოსტუების და მიმართეს ხაზეინს დაეთხოვა რამდენიმე „ნასთადჯრიგი" მუშა და მათი ქარა მიეშატებინა. ხაზეინი ერთხანს უარზე იდგა, მაგრამ ბოლოს იძულებული შეიქნა დაითანხმებულიყო. და სამ მუშას ქუჩაში გამოუძახა. ასე სასტიკად მოიქცნენ ზემოხსენებული მუშები: რვა მანეთის მაგიერ, რომლებსაც წინათ კვირაში ღებულობდნენ თითო თუმანი იღებენ და ამისთვის სამ მუშას ლუკმა პური წაართვეს; რა უნდა ვ გარქვათ ასეთ საქციელს? ეს მკითხველებისთვის მიმინდვია. **ფერმიცანაშვილი.**

---

### წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადო ოზურგეთის სასკოლო კომისიისაგან ბ.ბ. ერმილე ხუნგიას, რომელმაც მომავალ რეალურ სასწავლებელს შემოსწირა 50 მან. და ბ.ბ. გრიგოლ ურუშაძეს და ექიმს ა. პრეძლბორსკის, რომელთაც დ. სამტრედიაში ამავე მიზნისთვის წარმოდგენა გამართეს, რომლისგან შემოსული ფული 66 მან. და 89 კ. უკვე მივიღეთ. **ხაზინადარი დიმ. ერისთავი.**

---

როცა ჩვენ ბ-ნ „რისხვასთან" კამათი გვიხდება—ძალა უნებურათ გვაგონდება ნეტარ ხსენებული დონ-კიხოტი, რომელსაც ვინაიდან ავათმყოფი გონების წყალობით მუდამ მდევები და ბუმბერაზები ელანდებოდა, სამათ იყო ერთხელ ქარის წისქვილები დაინახა, რომ ისინი ბუმბერაზ—მდევებათ მიუღო და მათზე იერიში მიიტანა. ბ-ნ „რისხვასაც" ისე ემართება, რადგან მასაც ერთხელვე სოციალ-დემოკრატების ზიზღი გულში ჩაჭკრობებია, რის შემდეგაც ვინც მის მოწინააღმდეგე გაზეთის სახელს ახსენებს, თუნდა რაიმე კერძო საჭიროებისათვის, ასეთ პირს ბ-ნი „რისხვა" ხსენებულ გაზეთის გავრცელების სურვილს მიაწერს, და ბრძოლას აუტეხს. დონ-კიხოტს ხომ კაცი ვერ დაარწმუნებდა, რომ ქარის წისქვილები არ იყვნენ არც მდევები და არც ბუმბერაზები, ბ-ნ „რისხვასაც" ასევე ვერ ვარწმუნებთ, რომ მე და მღვ. ალ. არეშიძეს არ მოგვიკითხნია გაზ. „ჩანგი" „პარტიული მიზნით". ეს ჩემ წინანდელ წერილშიაც კარგათ განვმარტე, მაგრამ ბ-ნი „რისხვა" მაინც თავისას აღარ იშლის და უფრო შორს მიდის დონ-კიხოტობაში. ამ ბოლონდელ წერილში (იხ. „დროება" № 185) ბრალს მდებს ვითომ ხსენებულ დაპარაკის დროს გაზ. „დროება" ცუდათ მეხსენებინოს ბ-ნო „რისხვა", ეს რომ ასე ყოფილიყო და გაზ. „დროება" მეგინებიოს, მაშინ ხომ შენგან გამომცხვარ წინა წერილითვე დიდი სიხარულით აუწყებდი ქვეყანას ასეთ ამბავს. პირადათ ვინც გვიცნობს, ყველა დარწმუნდება ჩემს სიმართლეში და თქვენს სიყალბეში; ჩვენ კი ხსენებულ დაპარაკის დროს სულაც არ გვიხსენებია გაზ. „დროება". ეს ხომ თითონ თქვენმა მოწმეებმა დაამტკიცეს. ერთი შენიშვნაც: თქვენი მოწმეები თქვენივე ხელმძღვანელობით სწერენ (იხ. გაზეთ. „დროება" № 189) ვითომ მე „პარტიული მიზნით" მეთქვას: „ნუ თუ მთელ ბელაგორში ერთი მემარცხენე გაზეთი არ მოიპოვებაო" ეს ხომ თქვენგან განგებ გადაბრუნებული სიტყვებია წინადადების გამოკლებით. ჩემ დგილათ კი ასე იყო: თქვენს კითხვაზე: „რას ჰქვიან „ჩანგი"-ო? მე განვმარტე და ვახსენე მემარცხენე გაზეთათ და თანაც ვკითხე: ნუ თუ მთელ ბელაგორში არ იშოვება ეს გაზეთი, რომ ამ კაცმა (მღვდელმა) თავისი სასურველი ცნობა ამოიკითხოს მეთქი. ნამდვილათ-კი, გაზ. „ჩანგი" იქვე „სავაჭრო „ბუდკაში" ჰქონებიათ ანტონ თხელიძეს და თქვენ-კი, ეს დაფიცეთ უკუღმართ განზრახვით. **ეფრ. ებანოიძე**

---

(გადასახლებულების მშობლების თუ ნათესავების საყურადღებოთ),

აქნობამდე როგორც იყო გადასახლებულები გაჭირვებით ინახავდნენ თავიანთ არსებობას მთავრობის მიერ მიცემულ გროშებით: თავადაზნაურებს ეძლეოდათ 13 მ. 25 კ. და გლეხებს 7 მ. 10 კ. თვეში. ამ საცოდავი გროშებით ნახევრათ მშიერი მაინც ინახავდენ თავს, გზდა ესეც მოუსპეს და მით სულ გააუარესეს მათი ცხოვრების პირობები. 18 აგვისტოსთვის გაგვასიის უველა იმ გუბერნიებიდან და მაზრებიდან გადმოსახლებულთ სადაც სამხედრო წესები მოხსნილია დაბარა ქალაქ გლაზოვში ისპრავნიკმა. გადასახლებულები სიხარულით ცას სწვდებოდნენ: გვონით, გაგვათავისუფლეს და სამშობლოში გვაბრუნებენო, მაგრამ დახედე უბედურებას, საქმე უკუღმა დატრიალდა.

გამოვიდა ისპრავნიკი და გამოუცხადა: ყველანი თავისუფლები ხართ, მხოლოთ სამშობლოში ვერ დაბრუნდებით, არც კავკასიის გუბერნიებში და არც რუსეთის ცენტრალურ ქალაქებში ცხოვრების ნება არ გაქვსთო და მასთან, დღეიდან „კარმოვოი" აღარ მოგეცემათო. წავუკითხა ცირკულიარიდან ის ნაწვენები გუბერნიები, სადაც ნებადართულია ცხოვრება. ამ ამბავმა თავზარი დასცა ყველა გადმოსახლებულებს. დღეშითი მიმართავს მშობლებს თუ ნათესავებს გვიშველეთ ფული მოგვაწვდინეთო. დაშინებულ მშობლებს გონებიათ სახლში დაბრუნებას აპირობენო და ეს არის ისევ დადგა ჩვენი აწიოკების დროო, და ფულის მაგიერ წერილები უგზავნიათ, „მაგ იყავით, არ წამოხვიდეთ, მალე ღმერთი მოგხედავთ, გაგათავისუფლებენ. ფულს სამგზავროს გამოგიგზავნით და მაშინ წამოდითო". ამ წერილებმა სასოწარკვეთილებაში ჩაგვაგდო უველა. ამიტომ გთხოვთ პატივცემულ „მომავალს" ეს წერილი დაბეჭდოს რომ ვაცნობოთ უველას, რომ ჩამოსვლაზე კი არაა ლაპარაკი არამედ იმაზე რომ „კარმოვოის" აღარ გვაძლევენ და შიმშილით სიკვდილი მოგველისთ.

გადასახლებულების მინდობილობით **ბ. მერკვილაძე.**

---

რედაქტორ-გამომცემელი **ნ. მელიქ-შახნაზარიანცი**

---

**ბ. ზაქარია ქართველიშვილს.**

რადგან მე თქვენ მლანძღავთ და შეურაცხყოფას მაყენებთ, გიწვევთ სამედიატორო სამართალში. მედიატორებათ ვნიშნავ იოსებ გარსევანიშვილს და ვანო ბერძენიშვილს. ვადას გაძლევთ ერთ კვირას.

(1—1) **იოსებ კალანდაძე.**

---

### მატარებლების მიმოსვლა

**(18 აპრილიდან)**

ფრჩხილებს გარეთ აღნიშნულია პეტერბურგის დრო, ფრჩხილებში თფილისისა.

**თფილისიდან გადის**

**ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი № 1, საღამოს 7 ს. 33 წ. (8 ს. 31 წ.).
2) საფოსტო № 3, დილის 8 ს. 6 წ. (9 ს. 4 წ.).
3) სამგზავრო № 5, ღამის 12 ს. 3 წ. (1 ს. 1 წ.).

**ბაქოსაკენ:** 1) სამგზავრო № 12, საღამოს 9 ს. 13 წ. (10 ს. 11 წ.).
2) საფოსტო № 4, საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო № 6, დილის 6 ს. 38 წ. (7 ს. 36 წ.).

**ბორჯომამდე:** 1) სამგზავრო № 7/8, დილის 9 ს. (9 ს. 58 წ.).
2) სამგზავრო № 910, ნაშუადღევის 2 ს. 30 წ. (3 ს. 28 წ.).

**ჯულფამდე:** საფოსტო № 74/75, ღამის 12 ს. 46 წ. (1 წ. 44 წ.).

**ერევნამდე:** სამგზავრო და საქონლ. № 78/79, ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

**მცხეთამდე:** მარტო კვირა-უქმეების წინა დღით და კვირა-უქმეებში 1) საგარაკო № 77, დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).
2) საგარაკო № 77a, ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

**თფილისში მოდის**

**ბათუმიდან:** 1) სწრაფი № 2, დილის 3 ს. 38 ს. (9 ს. 36 წ.).
2) საფოსტო № 4, საღამოს 9 ს. 40 წ. (10 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო № 6, დილის 5 ს. 50 წ. (6 ს. 48 წ.).

**ბაქოდან:** 1) სამგზავრო № 11, დილის 9 ს. 47 წ. (10 ს. 45 წ.).
2) საფოსტო № 3, დილის 7 საათ. 8 წ. (8 ს. 6 წ.).
3) სამგზავრო № 5, ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.).

**ბორჯომიდან:** 1) სამგზავრო № 7/8, დილის 6 ს. 46 წ. 7 ს. 44 წ.).
2) სამგზავრო № 9/10, საღამოს 8 ს. 4 წ. (9 ს. 2 წ.).

**ჯულფიდან:** საფოსტო № 72/73, დილის 5 ს. 28 წ. (6 ს. 26 წ.).

**ერევნიდან:** სამგზავრო და საქ., ნაშუადღევსა 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.).

**მცხეთიდან:** მხოლოდ კვირა-უქმეებსა და კვირა-უქმეების წინა დღის საგარაკო № 76, ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2. ს. 28 წ.) საგარაკო № 6, საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ..)

---


## განცხადებანი

### გამოცდილი მასწავლებლები

(მონაწილეობას ღებულობენ მასწავ. ქალებიც, მცოდნე ზედმიწევნით უცხო ენებისა).

ამზადებენ **ქალ-ვაჟთ,** ყველა **დაბალ** და **საშუალო** სასწავლებლებისათვის: **სამოქალაქო** სასწ., **სასულიერო, საფერშლო, ტეხნიკის, რეალურ, საქალებო** და **სავაჟო გიმნაზიის, სამასწავლებლო სემინარიისთვის,** ამზადებენ **სოფლის ერთ და ორ კლასიან მასწავლ.,** როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, **ყველა ხარისხზე.**

აგრეთვე ღებულობენ მოსწავლე ვაჟებს და ქალებს, რომლებმაც **ანბანი** სრულებით არ იციან. **მსურველთ იყვანენ მთელ ხარჯზედაც.**

თვიურათ ფასი 5 მ.—20 მ.-დე, იყვანენ **პირობითაც.**

ამ ეზოშივე გამოცდილი **მკერავი** ქალი ღებულობს და კერავს **ზაკაზებს ხელმისაწვდომ ფასებში, იყვანს მოსწავლე ქალებს.**

ადრესი: ავჭალის ქუჩა, სახლი № 133, ბინა 26, (ვოგზლის პირდაპირ—ნახალოვკაში).

მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე, თავდება საღამოს 9 საათზე. (24—13)

---

**იყიდება ყველგან ახალი**

# ჩანგი

წიგნი 502 გვ., ჩართულია 60 მეტი სურათი საზოგადო მოღვაწეებისა. დაბეჭდილია მრავალი ისეთი ლექსები, სცენები, სახუმრო და სათხუნჯო კუპლეტები, რომლებიც ჯერ არსად არ დაბეჭდილა. სხვათა შორის მოთავსებულია სამი პიესა: **„ადვოკატთან", „ტაიინი სოვეტნიკის სიზმარი"** და **„უბედური დღე". წიგნი მშვენიერის ყდით ღირს 1 მან. 35 კ. უყდო 1 მ.** ფოსტით ვინც გამოიწერს, მას გასაგზავნი ფული არ გადახდება. ფულის მაგიერ შეიძლება მარკებიც. წიგნების გამყიდველებს დაეთმობათ პროცენტები.

ადრესი: Тифлисъ, „Сорапань", Гачечиладзе. (5—5)

---

**ექიმი**

# არდაზიანმა

განაახლა ავათმყოფების მიღება. დროებით მე-2 თუმანოვის ქუჩა № 27. დილის 8—9 ნახ. საათ. და საღამოს 4—9 საათამდის. (0—თ—11)

---

# მკერვალი ქალი

ვიღებ მოსწავლეებს განურჩევლათ ხნოვანებისა, ვასწავლი ჭრასა და ხარგვას სამი თვის განმავლობაში.

**ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია.**

**დუშეთის ქუჩა, № 7.**